მომავლის წარმოსახვის როლი სოციალურ ტრანსფორმაციაში

ირაკლი ბიტიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილსოფიის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლუკა ნახუცრიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირაკლი ბიტიაშვილი

18.01.2026

აბსტრაქტი:

სამაგისტრო ნაშრომი „მომავლის წარმოსახვის როლი სოციალურ ტრანსფორმაციაში“ იკვლევს საზოგადოებრივი სუბიექტების მიერ მომავლის წარმოსახვის ფორმირების ფილოსოფიურ-ონტოლოგიურ საფუძვლებს. ნაშრომი ასაბუთებს იმ აუცილებლობას, რომ სოციალური ტრანსფორმაციის პროცესი გააზრებულ იქნას არა მექანისტური ფატალიზმის, არამედ შემოქმედებითი პრაქტიკის ჭრილში. იმ პირობებში, როდესაც თანამედროვეობა მომავალს აღიქვამს როგორც აწმყოს ინერციულ გაგრძელებას, მნიშვნელოვანია სოციალური სუბიექტის რეაქტუალიზაციის საკითხი პოლიტიკური ფილოსოფიის კონტექსტში.

ნაშრომის ძირითადი თეზისი ეყრდნობა მარქსისტულ ონტოლოგიას, კერძოდ, შრომის კატეგორიას, როგორც სოციალური პრაქტიკის პირველფენომენს. მარქსისა და გვიანდელი ლუკაჩის არგუმენტაციის კვალდაკვალ, კვლევაში დასაბუთებულია, რომ შრომის პროცესში მოცემული „ტელეოლოგიური დასმა“ (მიზნის წინასწარი წარმოსახვა) არის ის წერტილი, სადაც ირღვევა მიზეზობრივად ჩაკეტილი სამყაროს სტრუქტურა და იხსნება შესაძლებლობათა სფერო.

ნაშრომში გაანალიზებულია მომავლის წარმოსახვის კლასობრივი განზომილება კარლ მარქსის ისტორიულ-პოლიტიკური ტექსტების („თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“, „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“) მიხედვით. ანტონიო გრამშის, ვალტერ ბენიამინისა და ერნესტ ბლოხის თეორიების სინთეზით, კვლევა აჩვენებს, რომ რევოლუციური ტრანსფორმაცია მოითხოვს „ცივი დინების“ (ობიექტური ეკონომიკური ანალიზი) და „თბილი დინების“ (უტოპიური იმედი და წარსულის დახსნა) შერწყმას.

დასკვნით ნაწილში ხაზგასმულია, რომ მომავლის წარმოსახვის მარქსისტული ინტერპრეტაცია არ არის სუბიექტივისტური პროექტი, არამედ სოციალური ყოფიერების შინაგანი ლოგიკიდან ამოზრდილი შესაძლებლობაა. ამ კონტექსტში

აწმყო განიხილება არა როგორც დასრულებულ მოცემულობა, არამედ ონტოლოგიურად ღია პოტენციალობების ველი.

საკვანძო სიტყვები: *შრომა, ტელეოლოგია, კლასობრივი ბრძოლა, კონკრეტული უტოპია.*

Abstract

The Master's thesis, "The Role of Imagining the Future in Social Transformation," explores the philosophical-ontological foundations of the formation of the future-imaginary by social subjects. The work argues for the necessity of conceptualizing the process of social transformation not through the lens of mechanistic fatalism, but as a form of creative praxis. In a context where modernity perceives the future as a mere inertial extension of the present, the issue of the reactualization of the social subject within the framework of political philosophy becomes paramount.

The core thesis of the research relies on Marxist ontology—specifically, the category of labor as the primordial phenomenon of social praxis. Following the arguments of Karl Marx and the late Georg Lukács, the study demonstrates that the "teleological positing" (*teleologische Setzung*) inherent in the labor process—the preliminary imagination of a goal—is the precise point where the structure of a causally closed world is disrupted, opening the sphere of objective possibilities.

The work further analyzes the class dimension of imagining the future, drawing upon Marx's historical-political writings (*The Eighteenth Brumaire of Louis Bonaparte*, *The Civil War in France*). Through a synthesis of the theories of Antonio Gramsci, Walter Benjamin, and Ernst Bloch, the research illustrates that revolutionary transformation requires the fusion of the "cold stream" (objective economic analysis) and the "warm stream" (utopian hope and the redemption of the past).

In the concluding section, it is emphasized that the Marxist interpretation of imagining the future is not a subjectivist project, but a possibility immanently arising from the internal logic of social being (*societal being*). In this context, the present is viewed not as a finished, static givenness, but as an ontologically open field of potentialities.

Keywords: Labor, Teleology, Class Struggle, Concrete Utopia.